სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის სანდრო გიორგაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**10**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**13**	**20**
წერის უნარი	**16**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**13**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**1**	**5**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**70**	**100**

გიორგი გზობავა

თარიღი : 16.09.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„16“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **სანდრო გიორგაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **სანდრო გიორგაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 2 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **სანდრო გიორგაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით და ამავე ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, **სანდრო გიორგაშვილი** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი),

შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

სანდრო გიორგაშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, პრინციპულობით და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საბანკო, საბიუჯეტო ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) იგი ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **სანდრო გიორგაშვილის** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, კერძოს: ზოგიერთ შემთხვევაში, კანდიდატის გადაჭარბებულ ლმობიერებას.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე კანდიდატი **სანდრო გიორგაშვილი** ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილ იქნა ცხრა ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ბლოკის მიერ.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში **სანდრო გიორგაშვილს** ჩადენილი აქვს 8 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **<u>სანდრო გიორგაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

<u>2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>2.1. სამართლის ნორმების ცოდნა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შესაფასებლად შევისწავლე სანდრო გიორგაშვილის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე, კერძოდ:

1. გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმე №2/357-2003, 12 დეკემბერი, 2003 წელი;

2. გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმე №2/249-2003, 8 სექტემბერი 2003 წელი;

3. გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/86-2004, 13 ოქტომბერი 2004 წელი;

4. გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/36-2004, 17 ივნისი 2004 წელი;

5. გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე - 2004 წლის 30 ივნისი.

სანდრო გიორგაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი საშუალო დონეზე იცნობს საქართველოს კონსტიტუციას და სისხლის სამართლის ნორმებს, ხოლო ბუნდოვნად იცნობს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

საჯარო მოსმენისას მას დაესვა არაერთი სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა, მათ შორის: რომლებია მართლწინააღდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებებიდან გამომდინარე რა კრიტერიუმებს მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულება ჩაატაროს ეფექტური გამოძიება, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების შესახებ, რა არის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი. დაისვა ზოგადი ხასიათის შეკითხვები სასამართლო სისტემაში რეფორმების ტალღებთან მიმართებით. საერთაშორისო სამართლის კუთხით დაისვა შეკითხვა აბსოლუტურ უფლებებთან, წამების აკრძალვასთან დაკავშირებით, რაზეც კანდიდატმა დააფიქსირა ზოგადი, ბუნდოვანი და არასრული პასუხები.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სანდრო გიორგაშვილი** უნდა შეფასდეს 10 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **სანდრო გიორგაშვილს** აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 11 წლის გამოცდილება. გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდატორებიდან გამომდინარე იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით.

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო შეხვედრისას კანდიდატმა უმეტესად ვერ გასცა ზუსტი და დამაჯერებელი პასუხები დასმულ შეკითხვებს, რის გამოც მოკლებული

ვარ შესაძლებლობას სრულყოფილად შევაფასო კანდიდატი მოცემული კრიტერიუმით.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სანდრო გიორგაშვილი** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.3. წერის უნარი</u>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის და ასევე **სანდრო გიორგაშვილის** მიერ განხილული საქმეების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად იკვეთება, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი აზრს გადმოსცემს მეტ-ნაკლებად ლოგიკურად და თანმიმდევრულად. ტექსტი არსებითად გამართულია და დაინტერესებული პირისათვის არ იქნება რთულად აღქმადი.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სანდრო გიორგაშვილი** უნდა შეფასდეს 16 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

სანდრო გიორგაშვილს აქვს კარგი, გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასებისას - კანდიდატს მიენიჭა შესაბამისი ქულა, მისი საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილების შედეგად. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატს მეტ-ნაკლებად ეტყობოდა მღელვარება, რის გამოც ხშირად უჭირდა საკუთარი პოზიციის ნათლად და გასაგებად გადმოცემა.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სანდრო გიორგაშვილი** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

რაც შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმის ერთ-ერთ მახასიათებელს, როგორიცაა პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში, უნდა აღინიშნოს, რომ **სანდრო გიორგაშვილი** გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. თუმცა, ვინაიდან **სანდრო გიორგაშვილი** თანამდებობიდან გათავისუფლდა 2004 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს და დაამუშაოს სტატისტიკური ინფორმაცია მისი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში საქმიანობის შესახებ.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სანდრო გიორგაშვილი** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

სანდრო გიორგაშვილი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას</u>

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2014 წლის 27 სექტემბერი).

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სანდრო გიორგაშვილი** უნდა შეფასდეს 1 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **სანდრო გიორგაშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ინიციატივის გამოჩენის უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, კერძოდ:

<u>სანდრო გიორგაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- სემინარი სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე - საქართველოს გენერალური პროკურატურა;
- სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) - საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2018 წელი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - საქართველოს გენერალური პროკურატურა;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - საქართველოს გენერალური პროკურატურა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სანდრო გიორგაშვილი** უნდა შეფასდეს 4 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **სანდრო გიორგაშვილი** სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმებით, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>70</u>** (სამოცდა ათი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი